№ 180

შაბათი, 22 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 180

შაბათი, 22 აგვისტო, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

მსურს იჯარით ავიღო სახლი

ქ. ტფილისში

ერთისა ანუ რამდენისამე წლით

იჯარით სახლის გაცემის მსურველმა მიაკითხოს „ივერიის" რედაქციას.

(5—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

[] ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ჩ. ა. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს. სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

# მოწოდება

მართლმადიდებელ მსოფლიო ეკლესიის ქრისტეს მიერ საყვარელნო შვილნო!

ქალაქ ტფილისიდგან ჩრდილოეთით ოცის ვერსის მანძილზედ, სწორედ იმ ალაგას, სადაც მდინარე არაგვი ერთვის მდინარე მტკვარს, გაშენებულია მცხეთა, ოდესმე სახელოვანი დედა-ქალაქი, ქართველ მეფეთა და პატრიარქ-კათალიკოზთა სამყოფელი ალაგი, ხოლო აწ მწირი და უპოვარი სოფელი, მიმზიდველი ადამიანის ყურადღებისა იმით-და, რომ მის შუა გულში აღმართულია ქრისტიანული სიძველის დიადი ნაშთი, წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა საკრებულო ტაძარი, რომელსაც ქართველები უწოდებენ სვეტი-ცხოველს. სვეტი-ცხოველი წარმოადგენს ქართველთა წმიდა ემბაზს, მათს დიდებასა და სიამაყეს, მათ შეურყეველ მართლ-მადიდებლობის მოწმეს; იგია საქართველოს მრავალ მეფეთა და კათალიკოზთა განსასვენებელი და უუმველესი ალაგი, სადაც ინახებოდა ისეთი უდიდესი სიწმიდე ქრისტიანობისა, როგორიც უკერავი კვართია უფლისა.

აღნიშნული საუნჯე (კვართი უფლისა), ღვთის სამოსლის გაყოფის შემდეგ მაცხოვრის ჯვარცმაში მონაწილეთა შორის, ერგო მცხეთელ ურიას ელიოზს, რომელმაც მოიტანა იგი მცხეთაში თავისის იერუსალიმიდგან დაბრუნების შემდეგ.

და ელიოზისა, მართალი სიდონია, აღძრული ღვთის შთაგონებით, სწრაფად გამოეგება სახლში მომავალ ძმას, გამოსთხოვა ყოვლად უბიწო მარიამ ქალწულის ხელთ ნამუშავარი კვართი ქრისტესი, ამბორა ვითარცა უდიდესს სიწმიდეს და ღრმა სასოებით შეიტკბო იგი თავისს ქალწულებრივს მკერდს. გარნა საკვირველ არს ღმერთი საქმეთა შორის თვისთა! სიდონია, შემდეგ კვართის მიღებისა, მეყსეულად მიიცვალა და რადგან შეუძლებელი გახდა საკვირველის სამოსლის მის ხელთაგან გამორთმევა, იგი დამარხეს ხსენებულ სამოსლითურთ. სასწაულის აზრი ცხად იქმნა მხოლოდ დიდის ხნის განვლის შემდეგ: ადგილი მაცხოვრის კვართის დაკრძალვისა აღმოჩნდა ღვთის მიერ განმზადებულად საქართველოში პირველ ქრისტიანულ სამლოცველოს აღსაშენებლად. ყოველივე ესე განცხადდა ივერიის განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, ქალწულის ნინოს დროს, როდესაც წმიდა ემბაზიდგან მის მიერ აღმოშობილმა მირიან მეფემ თავისს წალკოტში მართლის სიდონიას საფლავზედააშენა ეკლესია წმიდათა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა სახელობაზედ. ამ ხელ და ხელ აშენებულ ხის ეკლესიის მაგივრად, მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასლანის დროს, აგებო საკმაოდ მოზრდილი ქვითკირის ეკლესია, რომელიც შემდეგში გახდა პატრიარქ-კათალიკოზების კათედრად. რვაას წელიწადზედ მეტი იდგა უვნებლად ეს ეკლესია და მხოლოდ 1318 წელს დაანგრია იგი საშინელმა მიწის-ძვრამ. ამავე ალაგას ააშენა დიდებული ტაძარი გიორგი VI, ბრწყინვალედ წოდებულმა, და საბოლოოდ გაამშვენა იგი ალექსანდრე I-მა მეთხუთმეტე საუკუნეში. იმ დროდგან მოყოლებული დღევანდლამდე სვეტი ცხოვლის სასტიკად შეხამებული ფორმები, საოცარი გუმბათი, ხელოვნურის თლილის ქვის სახურავი, საოცნებო გაბედულობით გადაყვანილი თაღები და ქანდაკები კედლებისა, აკვირვებდნენ და აკვირვებენ მნახველს, იწვევდნენ და იწვევენ ყველას გულში ღვთის დიდების აზრსა და ქედს ახრევინებდნენ ამ საღმრთო სალოცავის წინაშე იმ გვარ ქრისტიანობის მტარვალთაც-კი, როგორიც იყო შაჰ-აბბას პირველი.

სამწუხაროდ, ტაძარი ესე გადარჩენილი მტერთა რისხვას, ვერ გადურჩა ყოვლის შემმუსვრელს დროს: სამხრეთის მზის მძლავრთა სხივთა, მწვავ გრიგალისა და ხშირი წვიმების მავნე გავლენის მიზეზით სრულიად დაძველდა და გამოიქარა სახურავის ლომფინი და ვეღარ იჭერს წყალს, რის გამოც სინესტე ატანას გუმბათის შინაგან. ყელამდე და უზრდელო ქვისაგან გასათლარის ხელოვნებით გადაქმნილნი თაღები, რომლებიც ამაგრებს გუმბათს და სახურავს, უკვე წამს ჩამოწოლას ჰლამის. გამოიქარა ამასთანავე ის თლილი ქვა, რომელიც შეადგენს ტაძრის კედლების გარეთა პირს და თან და თან იღუპება იმის მდიდარი ორნამენტიკა, რომელიც შეადგენს ქართული საეკლესიო ხუროთ მოძღვრების დამახასიათებელს კუთვნილებას; განქრა სრულებით კედლებზედ მხატვრობა al fresco, რომლითაც სავსე იყო სვეტი ცხოველი ძირიდგან ზემომდე; ამ ხმატვრობას მცირედი და კვალი სამხრეთ კედლის ნაწილზედ და დიდებული სახე მაცხოვრისა საკურთხეველში უმეტ ნაკლებოდ ასურათებენ იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება დღეს ხსენებული ტაძარი.

საქართველოს ეკლესიის ეგზარხოსნი, რომელთაც ეხლა უპყრავთ მიტროპოლიტთა ტახტი, ყოველ ღონისძიებასა ხმარობდნენ, რომ გადაერჩინათ ტაძარი სრულს დარღვევასა და ჰფიქრობდნენ შემდეგისთვის მისს აღდგენას პირვანდელის სახით, მაგრამ ამ საღმრთო აზრის განხორციელება თხოულობს დიდძალს ფულს: მცოდნე კაცთა გამოანგარიშებით ტაძრის შესაფერ შეკეთებას დასჭირდება 200,000 მანეთამდე და ტაძარს-კი არსაიდგან არა მოეპოვება-რა. რადგანაც ტაძრის აღდგენისათვის გამოანგარიშებულ ფულის შეგროვება ადგილობრივ დიდათ საძნელო გახდა, ხოლო ტაძარს, როგორც საზნო ძეგლს, დიდი მნიშვნელობა აქვს საქრისტიანო ქვეყნიერობისთვის, ტფილისში დაარსებულმა კომიტეტმა უწმიდესისა და უმართებულესი სინოდის შუამავლობით სთხოვა მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ნება-რთვა მთელს იმპერიაში ფულის შეგროვებისა აღნიშნულ საგნისათვის. კომიტეტის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და გამოიცა ყოვლად უმოწყალესი ნება-რთვა ფულის მოგროვებისა მთელს იმპერიაში. ამისთვის კომიტეტი მიჰმართავს მართმადიდებელ მსოფლიო ეკლესიის თვითოეულს შვილს და სთხოვს მმურს შეწევნა-დახმარებას.

მწყემსნო და მასწავლებელნო მართმადიდებელის ეკლესიისანო, რომელნიც მარად დღე აღავლენთ ღვთისადმი ლოცვას, „რათა მან წმიდა ჰყოს მოყვარენი სახლისა მისის შვენიერებისანი", ყოველის წოდების და მდგომარეობის მართლმორწმუნენო, მუშაკნო მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის სიტყვითა და საქმით, ქრისტეს მოყვარე მხედრობავ, მდგომარენო საზმილავსა ზედა სარწმუნოებისა, ტახტისა და მამულისასა, მსყიდველნო და გამსყიდველნო, რომელთა გიყვართ და ხელს უწყობთ ყოველს კეთილს და ღვთის სათნო საქმეს, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო სრულიად ივერიისანო, ყველას ერთად მოგმართავთ კომიტეტი და გულ-მოდგინედ გევედრებათ უფლისა იესო ქრისტესი და მისთა ათორმეტთა მოციქულთა სახელით შესწირეთ, ვისაც რა შეგიძლიანთ, სახელოვანის სვეტი-ცხოვლის აღდგენის საქმეს. შეწირულებანი შეიძლება გაიგზავნოს ქ. ტფილისს სინოდის საქართველოს კანტორაში.

თავმჯდომარე კომიტეტისა, საქართველოს ეგზარხოსი,
მთავარ-ეპისკოპოსი **ფლაბიანე.**

თავმჯდომარეს ამხანაგი **ლეონიდი** ეპისკოპოსი გორისა.

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნენ **ნადვორნი სოვეტნიკი** ნათიშვილი—რკინის გზის საფოსტო განყოფილების უფროსად ანდიჟანში და ნადვორნი სოვეტნიკი ქიქოძე—რკინის გზისავე საფოსტო განყოფილების უფროსად ჩარჯუიში.

# ახალი ამბავი

—

⁂ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ფ. კ. გერშელმანი გუშინ, 21 აგვისტოს, ტფილისიდგან ქუთაისს გაემგზავრა.

⁂ გუშინ ვარშავიდგან ტფილისს ჩამობრძანდა ესპანიის პრინცი ხაიმე ბურბონელი, ინფანტ დონ-კარლოსის შვილი, რომელიც ესპანიის ტახტის მაძიებელია.

⁂ გუშინ, 21 აგვისტოს, იოანნე ღვთის მეტყველის ეკლესიის გალავანში დაასაფლავეს ტფილისის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი თავ. ი. ნ. ჭავჭავაძის გვამი. იოანნე ღვთის მეტყველის ეკლესიაში ანდერძის აგებასა და აგრეთვე დასაფლავებას დაესწრნენ ტფილისის გუბერნატორის მოადგილე კ. კ. სტეფანოვიჩი, საგუბერნიო მართველობის მოხელენი, განსვენებულის ნათესავნი, ნაცნობნი და სხვ.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ განსვენებულ თავ. ი. ნ. ჭავჭავაძის ალაგას ტფილისის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად ინიშნება დ. ს. ს. ვეიდენბაუმი.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ტ. ს. ქიქოძე ტფილისში დაბრუნდა ახალციხის მაზრიდგან, სადაც სასოფლო ქსენონის დასათვალიერებლად იყო.

⁂ ცეცხლისაგან დამზღვევ ქალაქის საურთიერთო საზოგადოებას ამ დღეებში წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის თავისი ანგარიში ამ ნახევარ წლისა, რომლიდგანაცა სჩანს, რომ 1 აგვისტომდე ამ საზოგადოებაში დაზღვეული ყოფილა სულ 900 მამული 14,900,000 მანეთად. ამ ნახევარ წლის განმავლობაში საზოგადოების კასსაში შესულა სულ 29,000 მან., მხოლოდ ჯილდოდ მიუცია ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის სულ 2,300 მან.

⁂ ტფილისის პასტერის საბაქტეორიოლოგიო სადგურის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ამ სადგურში წარსულის წლის განმავლობაში ცოფის ასაცრელად მიუყვანიათ სულ 286 კაცი, მათ შორის 151 მამაკაცი, 44 დედაკაცი და 91 ბავშვი. ამ საერთო რიცხვში 27 ქართველი ყოფილა. ამ ცოფიანთა მიერ დაკბენილთა შორის 278 კაცი განკურნებულა აცრით, მხოლოდ 5 კაცი-კი გარდაცვლილა წამლობის დროს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ აცნობა ბ-ნ გუბერნატორს, რომ ტფილისის პოლიციას გასულ ივლისის თვის განმავლობაში ტფილისის სახლის პატრონებისათვის გადაუხდევინებია 2,241 მან. და 87 კ. სახელმწიფო გადასახადი, რომელიც ამათზედ ვალად ირიცხებოდა. იანვრის 1-დგან პირველ აგვისტომდე-კი პოლიციას მოუგროვებია სულ 48,700 მან. და 70 კაპ.

⁂ 19 აგვისტოს ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორი ხ. ნ. გროზდოვი მორჩა ტფილისის სომეხთა საეკლესიო სასწავლებლების ქონების ჩაბარებას. ამასთანავე ჩვენ შევიტყეთ, რომ სომეხთა კანსისტორიისაგან მიღებულ სასწავლებელთა მრავალი სკოლა ისეთს გაჭირვებულს მდგომარეობაშია, რომ ამ წელს ვერ გახსნიან, ვიდრე სომეხთა ეკლესიის მრევლი არ შეჰკრებავს საკმაო ფულს. სექტემბერში კი გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორი ბ-ნი გროზდოვი სომეხთა ხუთის სკოლის დაარსებას აპირებს და ამ დღეებში სასწავლებლების გამგეს და მასწავლებლებსაც დაჰნიშნავს. სექტემბერში, სხვათა შორის, კვლავ დაიწყება სწავლა ონანოვისა, სურბ-გეურქისა, ორსავე ნორაშენისა და თანდოევის სკოლებში.

⁂ 19 აგვისტოს ღამე მდ. ხრამის ახლოს ყარსის რკინის გზის ლიანდაგზედ უცნობნი ავაზაკნი შეუცვივდნენ ორ ძმას ბერძენს, რომელნიც პურს აცხობდნენ მუშებისათვის. ორივე მოჰკლეს და მთელი იმათი ქონება წაიღეს.

⁂ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით სოფლის ექიმი ბ-ნი ბეზირგანოვი გაგზავნილ იქმნა სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა) იმის გამოსარკვევად, თუ რა სატკივარი გაჩენილა ამ სოფელში და აგრეთვე ახლად გაჩენილ სენის წინაამდეგ ღონისძიებათა სახმარებლად.

⁂ ტფილისის გუბერნიის ექიმს ტ. ს. ქიქოძეს განუზრახავს სოფლებში მცხოვრებელთათვის სამკურნალო შემწეობის მისაცემად ისეთი წეს-რიგი დაადგინოს, რომ სოფლის ექიმები სოფელ-სოფელ დადიოდნენ სამკურნალო შემწეობის მისაცემად. ეხლა კი ექიმები სხედან იმ სოფლებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც სასოფლო სამკურნალო იმყოფება, და თუ სხვა სოფელში ვინმე ავად ხდება, ავადმყოფი ან უნდა მოიყვანონ იმ სოფელში, სადაც სამკურნალოა და ან უნდა დარჩეს იგი უწამლოდ და უმკურნალოდ მაშინ, როდესაც ამ სამკურნალოს შესანახად ყოველი სოფელი ერთნაირად იხდის ხარჯს.

⁂ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში სატეხნიკო კურსები მუშაკაცთათვის დაიწყება 6 სექტემბრიდგან. ამ კურსების მოსასმენად მოსწავლენი მიიღებიან უწინდელისავე საფუძველით.

⁂ რადგანაც ქალაქის გამგეობამ აცნობა პოლიცმეისტერს, რომ პუშკინის ბაღის გარშემო ქვა-ფენილს ქალაქის გამგეობა მერმისს გააკეთებს, როდესაც ქალაქის ახალი ხარჯთ-აღრიცხვა იქნება შედგენილიო, ამის გამო გუშინ პოლიცმეისტერმა მიმართა ბ-ნ გუბერნატორს და სთხოვა, უბრძანეთ ქალაქის გამგეობას, ეხლავე გააკეთოს ქვაფენილი, რადგანაც კერძო მამულის პატრონები არ აკეთებენ სახლებ წინ ქვაფენილს და ამბობენ,აბა ჯერ ქალაქმა აღასრულოს ქვაფენილის გაკეთების შესახებ დადგენილება და შემდეგ ჩვენც ავასრულებთო.

⁂ ხუთშაბათს, 20 აგვისტოს, კრება ჰქონდა ქალაქის იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქში საუკეთესო განათების შემოღება. კომისიამ მოილაპარაკა და იმ აზრს დაადგა, რომ პირველ ხანში საჭირო ელექტრონის ლამპრები იქმნას გამართული ერევნის მოედნისა, სოლოლაკისა, შუა ბაზრისა, მიხეილის ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის გისანათებლად, რასაც 6000-მდე ლამპარი დასჭირდება. რაც შეეხება იმას, რომ ელექტრონის სინათლე მიჰყიდონ კერძო მხმარებელთ, გარდაწყვეტილ იქმნა, რომ მხოლოდ იმას მიეცეს უფლება ფულით ელექტრონის სარგებლობისა, ვინც წელიწადში 1000 საათის განმავლობაში ხმარებისათვის სასყიდელს სრულად გარდაიხდის, თუმცა ამ ხანს არც იხმარონო.

⁂ პირველი კრება შემოდგომაზედ ტფილისის ქალაქის საბჭოს 9 სექტემბერს ექმნება.

⁂ ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები იქნება პირველ სექტემბერს.

⁂ აზრადა აქვთ გამოსცადონ წელს სიღნაღის მაზრაში როგორ იხეირებს ისეთი პური, რომელიც ურწყავ ადგილებში მოდის. ამ აზრით დასავლეთ ტფილისის ნაწილის ინსტრუქტორმა კიდეც მიჰმართა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა 1,000 ფუთი ხორბალი გამოიწერეთ დასათესადაო.

⁂ ამ დღეებში ტფილისს ჩამოვა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, თავადი მასალსკი, რომელსაც აზრადა აქვს ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა გაიცნოს. თავ. მასალსკი ამ ჟამად ბათუმშია, იქიდგან ქუთაისში ჩავა გამოსაცდელ მინდვრების დასათვალიერებლად, შემდეგ საქარის სანერგესა ჰნახავს და ტფილისს ჩამოვა. აქედგან თავადი ყარაიასა, განჯასა და გეოგჩაიში წავა.

⁂ განმარტებულ იქმნა, რომ იმ სამრევლოებში, სადაც სამრევლო-საეკლესიო სკოლებია, ახლად გამწესებული მღვდლები ვალდებულნი არიან საეპარქიო საბჭოს განკარგულებამდე შეუდგნენ ამ სკოლების გამგეს და სამღრთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობის აღსრულებას, თუ იმათი წინა მოადგილე ასრულებდა ამ თანამდებობას.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტის თანაშემწე ბ-ნი ლუპანოვი კახეთში მიდის კახეთის მევენახეობის დაწვრილებით შესასწავლად.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებში მზადდება 25 საქონლის მატარებელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბაკურიანის შტოსათვის, რომელიც ჩქარა იქმნება გაყვანილი.

⁂ პეტერბურგიდგან აუწყებენ გაზ. „კავკასს“, რომ უმაღლესად ნება დაერთოთ სტავროპოლის გუბერნიის ალექსანდროვსკის მაზრის სოფ. კანგლის მცხოვრებელ ნოღაელებს რუსეთის ქვეშევრდომობიდგან გამოეწერნენ და ოსმალეთში გარდასახლდნენ სამუდამო საცხოვრებლადაო.

⁂ გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ ამ ახლო მომავალში შეუდგებიან ახალციხის მაზრის სოფ. ზარზმის ძველის ტაძრის შეკეთებასაო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ სოხუმის საპატიმროსთან საავადმყოფო იქმნას დაარსებული.

⁂ განჯიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“-ს, რომ ყაზახის მაზრის სოფ. აქსტაფაში, ადგილობრივის მაზრის უფროსის ბ-ნ კანჩელის მონაწილეობით, მოუკლავთ იმ ყაჩაღთა დასის მეთაური—ნაბი ნაჯაფ-ოღლი, რომელმაც აჯიკენტის მახლობლად მგზავრები გასძარცვა. ნაბი ნაჯაფ-ოღლისთან მოუკლავთ აგრეთვე ცნობილი ყაჩაღი ხეჩო ევინოვი. ზოგიერთი ნივთები, რომელიც ყაჩაღებმა აჯიკენტთან მგზავრებს წაართვეს ამ მოკლულ ყაჩაღებს თანა ჰქონიათ.

⁂ უცნაურს ამბავსა სწერენ გორიდგან გაზ. „ტფ. ფურცელს“: როდესაც ამ მიმდინარე წელს დაიწყეს გამიჯვნა ქალაქის მამულებისა, ქალაქმა 60-მდე სხვის მამული თავისად გაამიჯვნინა და რადგანაც ამ მამულებს სხვანი მფლობელობდნენ, ამიტომ დავა საჩივარი ასტეხა. ამ სადავო მამულებში ერთი ნაჭერი მიწა ისეთიც ერია, რომელიც თვით გორის ქალაქის მოურავმა მიჰყიდა თურმე მასწავლებელს მამალაძეს. აი, ეს მამული გორის ქალაქის საკუთრებად გამოაცხადეს. მასწავლებელს მამალაძეს ეუცა თურმე ეს ამბავი,—როგორ, თვით ქალაქის მოურავმა მომყიდა ეს ნაჭერი მიწისა და დავას ეხლა იგივე მიცხადებსო. მაგრამ მოურავმა ასე იმართლა თურმე თავი: „მე ისე მივყიდე ეგ ნაჭერი მიწისა, როგორც კერძო კაცმა, და დავას-კი ვიწყებ ვითარცა ქალაქის მოურავიო“. ეს საქმე ოლქის სასამართლომ გაარჩია და აქ ახირებული საქმე მოხდა. ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ ქალაქის მიერ აღძრულ დავა-საჩივარზედ უარს ვამბობ, რადგან დავრწმუნდი, რომ ყველა ეგ მამულები, რომელსაც ქალაქი ისაკუთრებს, კერძო კაცთა საკუთრება ყოფილაო. ჰკითხავთ. ახლა, რაღა ეშმაკისათვის აღძრეს ეს საქმე და რად დაიხარჯნენ ვექილის მოსაწვევად, თუ ეს მამულები სხვისა იყო?!.

⁂ ქ. თელავი, 10 აგვისტო. სიხარულით მივეგებენით მთავრობის განკარგულებას, რომლითაც თავადი ნიკოლოოზ გულბაათის ძე ჭავჭავაძე ჩვენ მხარეს გადმოიყვანეს მომრიგებელ შუამავლად. თელავში ახალს მომრიგებელ შუამავალს ბევრი რთული საქმე დაუხვდება გამოსარკვევად. დიდად სასურველია, რომ თავადი ნიკოლოოზ გულბაათის ძე მუდმივ ბინად ქ. თელავს ამოირჩევდეს. ამისათვის თელავი დიდად მოხერხებული ადგილია, იგი შუა გულია თელავის მაზრისა, გარს არტყია სოფლები თითქმის ერთსა და იმავე მანძილის სიშორეზედ. ამასთან თუ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ თელავის მაზრის მომრიგებელ შუამავალს აბარია აგრეთვე თიანეთის მაზრაც, მაშინ ცხადია, თუ რამდენად სასურველია, რომ იგი თელავში სცხოვრობდეს, სადაც მომჩივარს უფრო გაუადვილდება იმასთან მისვლა-მოსვლა.

⁂ სიღნაღის მაზრის კოტაანის კალოების მახლობლად ადგილობრივ მცხოვრებს გიო ჯინაშვილს ჩხუბის დროს მოუკლავს სიღნაღისავე მაზრის სოფ. ჩაილურის მცხოვრებელი ვიღაც ივანე, რომლის გვარი ჯერ არ იციან.

⁂ ამა წლის პირველ იანვრიდგან დღემდის ტფილისის კასსაში შესულა: დაფასების გარდასახადი—207,485 მანეთი 62 კ. (შარშან-კი 198,121 მან. 1 კაპ.), სატივოდგან—3,048 მან., საყასბოდგან—30,668 მან. 88 კაპ., ცხენების გარდასახადი—27,817 მან. 50 კაპ., ქალაქის ადგილებიდგან—9,264 მან. 64 კაპ., ვერის ხიდიდგან 8,400 მან. 6 კაპ., ქალაქის მოედნებიდ-

# ფელეტონი

## წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

შესანიშნავი აღმოჩენა.—ლილიენფელდი.—გრიმო.—პიკკერინი.

რამდენიმე დღეა, რაც ტელეგრაფმა აცნობა გაოცებულს ქვეყანას, რომ ახალგაზდა (29 წლისა) გერმანელმა მეცნიერმა ლილიენფელდმა ქ. ვენაში ბუნების მეტყველთა კონგრესის წინაშე არა ორგანიულ ელემენტები გარდააქცია ორგანიულ პლაზმად, ცოცხალ ხილად, რომელიც უპირველესი ელემენტია კვერცხისა, რძისა, ხორცისა და სხვ.

კორესპონდენტები სწერენ, რომ ლილიენფელდის მიერ გაკეთებული ცილა უფრო გემრიელია, ვიდრე უმი ცილა კვერცხისა და ფერით-კი უფრო მუქია. ყველაზედ უფრო საოცარი ის არის, რომ ამ ცილას ლილიენფელდი ძლიერ ადვილად, ძლიერ ჩქარა აკეთებს და ძლიერ იაფადაც ჯდება. სულ 10—12 წუთის განმავლობაში ლილიენფელდი აკეთებდა ცილას მეცნიერთა წინაშე და აქვე დაშლიდა ხოლმე ელემენტებად იმ ქიმიურ წეს-რიგით, რომელსაც ჰხმარობს მეცნიერება ცილის ელემენტებად ქიმიურად დასაშლელადა და აღმოჩნდა, რომ ელემენტები ცილისა და ლილიენფელდის ნივთიერებისა არაფრით განირჩეოდნენ ერთმანერთისაგან.

მაშასადამე, მეცნიერებამ უკვე გაიგო უდიადესი საიდუმლოება ბუნებისა! გაიგო ეს ადვილად და შეიტყო, როგორ უნდა გაკეთდეს ისეთი საჭმელი, რომელიც რძისა, კვერცხისა და ხორცის მაგიერობას გასწევს და რომელიც 50 შაურის მაგიერად დაჯდება სულ 9—12 კაპეიკად!..

წავიკითხე გაზეთებში ეს ამბავი და არა მჯეროდა! როგორ! ნუ-თუ მეცნიერებამ ასე ადვილად შეიტყო ისა, რასაც ეძებდნენ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ალქიმიკოსები, ნუ თუ გამართლდა წინასწარმეტყველება სახელოვან ქიმიკოსთა (მაგალითად ბერტელოსი), ნუ თუ მეცნიერებამ გამოჰგლიჯა ბუნებას უდიადესი საიდუმლოება და შეიტყო იმისი შემოქმედებითი ძალა. არა, ეს დასაჯერებელი არ არის, ვფიქრობდი მე. განა ერთხელ და ორჯერ გამიგონია, რომ აგერ ედისონი ვითომ და მიწისაგან ხორცს აკეთებსო, მაგრამ მერე ყოველივე ეს ჭორი გამომდგარა. ეხლაც ისე იქმნება...

მაგრამ სამის დღის შემდეგ ახალგაზდა მკურნალმა პიკკერონმა გამოაცხადა „Westminster Gazite“-ში, რომ მე თითონ ჩემს ლაბორატორიაში, ლონდონში, გავაკეთე ლილიენფელდის ნივთიერებაო. ამასთანავე ახალგაზდა მეცნიერმა დაძინა, რომ ეს ნივთიერება ჯერ ნამდვილი ცილა არ არის და რომ აგერ სამი წელიწადია, რაც მე თითონ გავაკეთე ექვსი სხვა და სხვა ნივთიერება ამ გვარ ალბუმინისა, მე თითონაც ვსცადე ჩემს თავზედ, თაგვებსაც ვაჭმევდი, მაგრამ, როგორც უკვე მქონდა გამოცხადებული, ეს ნივთიერება ვერ გამოდგა სასურველი. ვსთქვათ, რომ არც ლილიენფელდის ნივთიერება და არც ჩემი ჯერ ნამდვილი ცილა არ არის, მაინც მეცნიერება ეხლა ჭეშმარიტს გზაზე სდგას და ჩვენ ძლიერ მალე დავესწრობით ნამდვილის ცილის გაკეთებას, ვინაიდგან საფრანგეთის ქიმიკოსის ე. გრიმოს მიერ აღმოჩენილი მეტოდი ჭეშმარიტია, ამ მეტოდს მისდევს ეხლა მეცნიერება და უეჭველად ძლიერ მალე გაიმარჯვებს კიდეც.

მაშ, ჭორი არა ყოფილა ზემოხსენებული ამბავი! ეხლა ჩვენ ძლიერ მალე მოვესწრობით შესანიშნავს ამბავს—ხელთ მოქნილს საჭმელს! მაშ ოცნება არა ყოფილა დიადის ქიმიკოსის ბერტელოს სიტყვები, რომ ქიმია უწყალობებს საჭმელს ადამიანსა, გააძღობს, მიანიჭებს კმაყოფილებას და გაანთავისუფლებს ჭამასმაზე ზრუნვისაგან! მოვა დრო, რომ ადამიანი ცხოველებს აღარ დაჰხოცავს თავისის თავის გამოსაკვებად და ყასაბის ხელობა გარდაიქცევა კაცობრიობის განუვითარებელ მდგომარეობის მოგონებად. აღსრულდეს წინასწარმეტყველება დიადის მეცნიერისა!..

ეხლა ეს ვიკითხოთ, ვინ არიან ეს მეცნიერნი? რა ხალხია, რა ხასიათის პატრონები არიან?

ლილიენფელდის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ იგი მოწაფე იყო სახელოვანის ფიზიოლოგის დიუბუა-რეიმონდისა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ბერლინში გარდაიცვალა; ვიცი, სამწუხაროდ ისიც, რომ ლილიენფელდი ღვიძლი შვილია ანგარებით სავსე საუკუნისა და განზრახვა აქვს პატენტი აიღოს თავისს „აღმოჩენაზე“, რომელიც ცხრა წლის წინად აღმოაჩინა ნამდვილმა მეცნიერმა ე. გრიმომ. ეს მეცნიერი არა თუ პატენტებს არ იღებდა, არამედ საქვეყნოდ გამოაცხადა თავისის მუშაობის თეორია, რომ ახალგაზდა მეცნიერთ განეგრძოთ ეს საქმე. ხოლო როდესაც მკურნალმა პიკკერინმა შეატყობინა თავისი გამოკვლევა, გრიმომ მამობრივი დარიგება მისცა და შეუთვალა, განაგრძე ეგ გამოკვლევაო.

დიაღ, ნამდვილი მეცნიერი არა ჰფიქრობს პატენტებზე და პრივილეგიებზე. ან-კი შესაძლებელი იყო განა, რომ გრიმო ასე არ მოქცეულიყო? იცით, ვინ არის ეს მეცნიერი.

ეს ის კეთილშობილი მოხუცი პროფესორია, რომელიც ზოლას საქმის გარჩევის დროს გამოცხადდა,რათა გამოეთქვა თავისი გაოცება იმის გამო, რომ მწერალმა სინიდისიერად შეასრულა ვალი მამულიშვილისა. განცხადების გულისათვის უნიჭო ჟურნალისტისა და კლერიკალის სამინისტრომ კათედრა ჩამოართვა საფრანგეთის მეცნიერების დამამშვენებელსა და კაცობრიობის სიამაყეს... რა მუხთალია ბედი! კლერიკალიზმი და უმეცრება ეხლაც ისე სდევნის მეცნიერების მოღვაწეებსა და კაცობრიობის მეგობრებს, როგორც ჯიორდონო ბრუნოსა და გალილეის დროს; ხოლო უწინ სდევნიდნენ ამათ პაპისა და ინკვიზიციის სახელით და ეხლა სდევნიან „თვითმპყრობელის ერისა“ და „თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის“ სახელით...

მკურნალს პიკკერინს კი კარგად ვიცნობ. იგი მდიდარ ბურჟუას ოჯახს ეკუთვნის, შარშან შეირთო ცოლი და, ინგლისელების აზრით, ჯერ ისევ ყრმა არის (28 წლისა). პიკკერინი საკმაოდ ცნობილია მეცნიერთა შორის თავისის გამოკვლევებით და ლექციებით—საზოგადოებისა და მუშათა შორის.—ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ერთი საღამო, რომელიც პიკკერინთან ერთად გავატარე 1896 წ. ენკენისთვეს ერთის მეცნიერის პატარა სასტუმრო ოთახში. პიკკერინი მეცნიერის გრიმოს სინტეზის განმარტებას შეუდგა და გვაუწყა, რა შედეგი მოჰყვა იმისს გამოკვლევას ცილის გაკეთების შესახებ; ჩვენ ყველანი გაოცებულნი ვუსმენდით. მაგრამ ჩვენს გარდა ამ ოთახში იყო თითქმის სამოცდა ათის წლის მოხუცი. ამ მოხუცის სახე ბრწყინავდა აღტაცებით და იმისი მშვენიერი ცის-ფერი თვალები გაბრწყინვალებულიყო ციურის ცეცხლით. მოხუცმა გაითვალისწინა, რა შედეგი მოჰყვება ამ გამოკვლევას, და როგორ გააბედნიერებს ეს შედეგი კაცობრიობას. არც საკვირველია, რომ გაითვალისწინა ესა:—ეს მოხუცი გახლდად საფრანგეთის მეორე დიადი კაცი, რომლითაც ეს ერი სამართლიანად ამაყობს, ეს კაცი იყო დიდებული გეოგრაფი ელიზე რეკლიუ.

ვ. მარველი

გან—8,458 მან. 68 კაპ., ტრაქტირებიდგან—19,198 მან. 58 კაპ. დაფასების გარდასახადის დროზედ შემოუტანლობისა გამო ჯარიმა—8.817 მან. 36 კაპ. წყლის მილიდგან—109,410 მან. 77 კაპ.

## წერილი სამეგრელოდგან

12 აგვისტო

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ მეგრელების ერთად-ერთს წყაროს ცხოვრებისას სიმინდის თესვა-მოყვანა შეადგენსო. მართლაც-და, მეგრელი მებატონე თუ გლეხი, მღვდელი თუ ერთი ყველა ამ ცხოვრების ერთად-ერთს წყაროს დასწაფებია და მით ეწევიან დღევანდელს გაუკუღმართებულს ცხოვრების მძიმე უღელს. აქეთ ბედნიერ კაცად ის ითვლება, ვისაც, სარჩოს გარდა ცოტაოდენი გასასყიდი სიმინდი მოუვა და მასთან ოციოდე კოკა ადესის მდარე ღვინო. არ იფიქროთ, ვითომც აქაურები მებაღეობა-მებოსტნეობას და სხვა რამ ამ გვარს მისდევდნენ, როგორც ჩვენის საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იციან. არა, აქაურები ყოველსავე დღიურს ოჯახის მოთხოვნილებას, სიხარულ-მწუხარეობას და ჭირ-ვარამს, მხოლოდ სიმინდით აძლევენ პასუხს. ამიტომ ურიგო არ იქნება, ოდნავ მაინც აღვნიშნო, წრევანდელს მოსავალს როგორი პირი უჩანს. გაზაფხული აქეთ ისეთი იყო, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ჭირნახული უნდა დათესილიყო, ხან ერთობ წვიმები და ხან გვალვები უშლიდა ხელს. ამის გამო ყანების დათესვა ერთსა და იმავე დროს შეუძლებელი გახდა. როგორც იყო ივნისის თხუთმეტამდე მოთავდა ყანების დათესვა, მაგრამ რა გამოვიდა: ვინც დათესა და შრომა გასწია, იგი ცხარე ცრემლს აფრქვევს დღეს. რადგანაც გამარგვლა დროზედ ვერ მოახერხა. საბრალო მხვნელ-მთესველმა ვერ იქმნა და ვერ მოაშორა ბალახი ყანებსა; და ან მარტო-ხელი კაცი რას გახდებოდა, როდესაც დღიური მუშა-კაცი მანეთი იყო და ფულიც არ მოიძევებოდა? ამიტომ ერთი მესამედი ყანებისა გაუმარგვლავი დარჩა მუშა-კაცს, ასე რომ არც ბალახი იქნება ხეირიანი და არც სიმინდი. რაც გამარგვლულია, ისიც სამწუხარო სურათს წარმოადგენს. უმეტესი ნაწილი სიმინდისა გაყვითლებულ-აოდებულია და იმის მნახველს ადამიანს გული უკვდება. აი, ასე უნაყოფოთ დაეკარგა ზოგიერთებს წრევანდელი მიწის მუშაობა.

სამეგრელოში არის ისეთი ადგილები, სადაც სიმინდის მაგიერობას მეფუტკრეობა სწევდა. იმ ადგილებში, სადაც ფუტკრის მოვლა-მოშენებას მისდევენ, ზოგიერთებს 50—150 და მეტი ბუკი სკა ჰყავთ მოშენებული, მაგრამ წელს არც იმათ გაულიმა ბედმა. ამისი უმთავრესი მიზეზი, როგორც თითონვე ამბობენ, ღრუბლიანი დღეებია. ღრუბლიან დღეში ფუტკრები მინდვრად, ვერ გამოდიან სამუშაოდ და რომ გამოვიდნენ კიდეც, საკმაო წვენს ვერ აგროვებენ. ის მეფუტკრე, რომელიც ყოველ წელიწადს 20—40 ფუთს თაფლსა ჰყიდდა, წელს ვერც ერთს ფუთს გაჰყიდის. წელს მაინც სამეგრელოში საოცარი ამინდებია. მთელმა გაზაფხულმა შავ ბნელად გაიარა; ეხლა აგერ ზაფხულიც თავდება და ერთხელ არ გვინახავს მოციმციმე-მოკაშკაშე ვარსკვლავები ცაში. მუდამ დღე და ღამე ცა შავის ღრუბლებით თავს დასცქერის დედამიწას, თითქოს მგლოვიარეაო, თუმცა და ღრუბლიანი დღე და ღამეა, მაგრამ სიცხეებიც საკმაო...

საზოგადოდ წელს მთელს სამეგრელოში ადესის ვაზს ნაკლებად ასხია. თუმცა პირველში კარგად მოისხა, მაგრამ გამუდმებულმა უმზეობამ უჩინრად გააქრო. აგრეთვე ნაკლებად მოდის ჩვენი იადესლაც განთქმული „ოჯალეში“-ს ღვინო და „ვანური“-ც. ამას მუდამ წელს რაღაც ნაცრის ფერი გადაეკვრის და სპობს მოსავალს...

სხვაფრივ აქეთ მშვიდობაა. ციებცხელება, ეს შეჩვეული ავადმყოფობა აქაურებისა, იერიშით დადის სამეგრელოს სოფლებში და მრავალიცაა ლოგინად ჩავარდნილი, მაგრამ ზარალი კი არა მოაქვს-რა...

31 ივლისს, ნაშუაღამევის მესამე საათზედ აქეთ საოცარი მიწის ძვრა მოხდა, რომელმაც მხოლოდ ორ-სამს წამს გასტანა. ზოგან ოჯახის მოწყობილება ააზორვა. მეორე დღეს ხალხი ერთმანეთს მშვიდობით გადარჩენას ულოცავდა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** სამწუხაროდ, ჩვენს ზ. ზუგდიდშიაც მაგრად მოიკიდა ფეხი ჭირმა ბანქო-ქაღალდის თამაშობისამ. თავისის უხილავის ბაცილებით მან ბევრს მოუწამლა ჭკუა-გონება, ხასიათი გაურყვნა, ქონებრივად გაადატაკა, უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა მოუსპო და პირქვე დაამხო. რამდენმამე ჩვენებურმა ქაღალდში წააგო თავისი მამულ-დედული, მამა-პაპის მიერ წკადაგვით შემენილი და ბოლოს თვითონაც ხელ-ცარიელნი დარჩნენ და ცოლშვილიც სამუდამოდ დაჩაგრეს. ასე წარმოიდგინეთ, რომ პატივცემული „ინტელიგენტებიც“-კი სხვებზედ ნაკლებ არ ეარშიყებიან ქაღალდის თამაშს, მაგრამ ღამისთევა-უძილობამ, ფულის ფლანგვამ, არა ზომიერ და თავ-დაუჭერელ ცხოვრებამ ბევრს მათგანს გატკრა თავისი ბასრი კბილები, ჯანი გაუტეხა და ზურგზედ ბოლო აადინა.

ამგვარად უმეტესს ჩვენთაგანს ქაღალდის თამაში ჰღუპავს. ქაღალდის თამაშობამ ჩვენ საზოგადოებას თავისებური დაღი დაასვა. რა უნდა ვუსაყვედუროთ უმეცრებს, როდესაც საუკეთესონი თითონ იძლევიან ცუდსა და მავნე მაგალითს?

ჩვენდა საბედნიეროდ ქაღალდის თამაშობისაგან წარმოშობილს სამწუხარო შედეგს ჩვენში დიდი ყურადღება მიაქცია მაზრის უფროსმა ბ-ნმა გ. გეგამოვმა. იგი მოსვლისათანავე გულ მოდგინედ შეუდგა ჩვენი ცხოვრების ვითარების, მისის უკუღმართობის ყოველ გარემოების გაცნობა-შესწავლას და ბოლოს ჩვენ დამაქცეითებელ უმთავრეს მიზეზად უმნიშვნელოდ დროს ტარება, ქეიფობა და ქაღალდის თამაში ბღიარა. ბ-ნი მაზრის უფროსი პირველად ქეიფობას შეებრძოლა, ყოველი ღონე იღონა და მოსპო იგი. ამის შემდეგ ჩვენში მშვიდობიანობა დამყარდა—მაღლებს მაინც მიეცათ მოსვენება.

ქეიფობას ჯერ-ჯერობით ცოტა რამ შეელხა, ქაღალდის თამაშს-კი ვერა უწამლეს-რა. ხშირად მიმჯართავდა მაზრის უფროსი ჩვენს მოთამაშე კაპიტნებს და ეტყოდა, რომ თქვენი საქციელი მეტად ცუდია, თქვენ სამარცხვინო წყრნი ხართ საზოგადოებისა და მის წინ მსვლელობის შემფერხებელნიო, მაგრამ მისი სიტყვა დღემდე რჩებოდა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. დღეს ბ-ნ მაზრის უფროსს გაუგია, რომ სასტუმროებსა და ყავახანებში ქაღალდის თამაში გაჩაღებულიო, გაუგია აგრეთვე, რომ ერთ მოხელე-მოსამსახურეს გუშინ ღამ სამი თუმანი წაუგიაო, ამის გამო მოთამაშებიდგან გამოსული ბ-ნი გეგამოვი დღის მეორე საათზე მოთამაშეებს მოულოდნელად თავს დაეცა, ზოგი გაიქცა, მაგრამ ყველანი შეპყრობილ იქმნენ და სატუსაღოში ამოაყოფინეს თავი. განთავისუფლებულ იქმნენ მხოლოდ ღამის 8 საათზედ. ყველა „მოთამაშეებს“ ხელ-წერილები ჩამოართვეს, რომ თავის ხელობას თავი უნდა დაანებონ.

ამგვარად იმედი გვეძლევა, რომ ქაღალდის თამაში ჩვენში მოისპობა. ზუგდიდის შეგნებული საზოგადოება დიდად ემადლიერება ბ-ნს მაზრის უფროსს განკარგულებისათვის და იმედიც აქვს, რომ იგი, როგორც ქეიფობას, ქაღალდის თამაშსაც თავ-ზარს დასცემს და ბოლოს მოუღებს.

მიხაკო ვერმიცანაშვილი

## რუსეთი

—

13 აგვისტოს დასრულდა საგანგებო კრება უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო საბჭოსი. კრებაზედ დასასწრებლად მიწვეული იყვნენ ყველა ეპარქიის წარმომადგენელნი. ამ კრების უმთავრესი საგანი სამრევლო-საეკკლესიო სკოლები იყო, მათი მდგომარეობა და იმის გამორკვევა, თუ რა გვარად შეიძლება ამ სკოლების მოწყობა-გაუმჯობესობა. რადგანაც ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ სკოლების მოწყობილების და, საზოგადოდ, მათის წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი შეძლების უქონლობაა, კრებამ დაადგინა ყოველი ღონე იღონოს და სადმე იშოვნოს საჭირო თანხა სამრევლო-საეკკლესიო სკოლების განსაუმჯობესებლადა და მასწავლებელთა უზრუნველ-საყოფელად. ამასთან კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რათა 2% გარდასახადი დაედოს მონასტრისა და ეკკლესიის შემოსავალს, სანთლის ქარხნებს და საეკკლესიო დამზღვევ თანხას. კრებამ აგრეთვე საჭიროდ სცნო, რომ დაარსებულ იქმნას რაც შეიძლება მეტი სამრევლო-საეკკლესიო სამზრუნველო, რომლის წევრებადაც მიიღებიან აგრეთვე არა-ქრისტიანენიც. მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კრებამ საჭიროდ სცნო იშუამდგომლოს, რომ 20 წლის განმავლობაში ყოველის ხუთის წლის შემდეგ იმათ ჯამაგირს 25% მიემატოს ჯამაგირის რაოდენობისა. კრების აზრით, განსაკუთრებით გაუმჯობესებულ უნდა იქმნას ესრედ წოდებული მეორე-კლასიან სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა. ამ ჟამად რუსეთში ასეთი სკოლა სულ 400-ია, მაგრამ ყოველ წელს ჰმატულობს. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ასეთის სკოლის შენახვისათვის, 300 მანეთის ნაცვლად, როგორც დღემდის იყო, გადადებულ იქმნას ხოლმე 700 მანეთი. კრებამ დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე დედათა განათლებას. ბევრმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ, საჭიროა, წერა-კითხვისა და სხვა საგნებთან ერთად სოფლის ქალებს ასწავლონ ხელ-საქმეცაო.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთის ყველა რკინის გზების სახალხო მატარებლები ელექტრონით იქმნას განათებული. ამ საგნის განხილვას გზათა სამინისტრო შემოდგომაზედ შეუდგება.

— ამ დღეებში პეტერბურგს და იწყებს მუშაობას სასჯულო საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეუდგება იმ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება მათხოვრობისა და გლახაკობის მოსპობა. ამ აზრით სასჯულო საქმეთა სამინისტრომ უკვე მიჰმართა სხვა-და-სხვა გუბერნიის მოხელეთ და სთხოვა, გამოუგზავნეთ კომისიას ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად არის გავრცელებული მათხოვრობა და რა ღონეა ნაღონები იმის მოსასპობად.

## უცხოეთი

—

**ᲔᲡᲞᲐᲜᲘᲐ.** დღემდის ესპანიას ევროპა სულ სხვა თვალით უყურებდა. ოდესღაც ძლიერი და თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი ესპანია, ევროპიელების წარმოდგენით, თუმცა ამ ბოლოს დროს მისუსტდა, დაპატარავდა, მაგრამ უწინდელი სიმამაცე და ვაჟკაცობა ჯერაც არ დაუკარგავს, ასე რომ, თუ, მოიწადინა, ხელ-ახლა შეუძლიან ფეხზედ წამოდგეს და ევროპის სხვა სახელმწიფოებს გვერდში ამოუდგესო. ასე ჰფიქრობდნენ ევროპიელები ამ ბოლოს დრომდის, მაგრამ უკანასკნელმა ომმა სულ სხვა დაანახვათ და გააგებინათ. დღეს ევროპიელთა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ესპანიის ფეხზედ წამოყენება შეუძლებელია, რომ ამ ქვეყანამ თავისი დრო და ჟამი მოიჭამა და ეხლა ბურთი და მოედანი სხვას, ცხოვრებისათვის უფრო კარგად მომზადებულ ერს, უნდა დაუთმოსო. ევროპის ზოგიერთა დიპლომატებმა უკვე წარმოსთქვეს ასეთი აზრი ესპანიის შესახებ. აი, ეხლა ესპანიისავე შესახებ რასა სწერს გერმანიის სერიოზულ გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც დიდი ხანია თურმე რაც ესპანიაში სცხოვრობს და ამ ქვეყნის ავსა და კარგს დაჰკვირვებია: „ესპანიას ევროპიელნი ვერ იცნობენ. ამ ქვეყნის დღეები უკვე დათვლილია: იგი ვერასოდეს ვეღარ წარმოდგება ფეხზედ და ვერ ამაღლდება. ესპანელები მკვეხარა, ზარმაცი და უდარდელი ხალხია. შრომა და ჯაფა მათ ჭირივით ეჯავრებათ. ესპანელს ხარების ჭიდაობისა და კვეხნის მეტი არაფერი არ უყვარს. იგი წარსულით ამაყობს და თავის ხალხსა და სახელმწიფოს სხვა ხალხსა და სახელმწიფოზედ მაღლა აყენებს. იმის ერთად ერთი სურვილი ის არის, რომ თბილი ადგილი ჩაიგდოს, ჯამაგირი აიღოს და უზრუნველად იცხოვროს. ესპანელმა არ უწყის რა არის მოვალეობა და საქმის პირნათლად აღსრულება. როგორც უკანასკნელმა ომმა გამოაშკარავა, ესპანეთს კი არა ჰყოლია ესპანიას ნამდვილი, ის ჯარი, რომლითაც იგი ყოყოჩობდა და თავი მოჰქონდა. ამერიკელები ვაჟრები არიან, ბევრს თოფი ხელში არც-კი აეღოთ, მაგრამ მათაც-კი დაიფრინეს და დაამარცხეს ესპანელები. ამ უკანასკნელთ არც ერთი გამარჯვება არ ჰრგებიათ. მცოდნე და დამსწრე კაცები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ესპანიის ჯარი ამ ომის დროს სამარცხვინოდ იქცეოდაო. საბერძნეთის ჯარმა უფრო მეტი სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოიჩინა, ვიდრე ესპანიის ჯარმაო. მიუხედავად ამისა, ესპანიის გაზეთები მაინც გაიძახიან, რომ ჩვენი ჯარი გმირულად იბრძოდა და გენერლები უნდა დავაჯილდოვოთო. დღეს, როგორც ყველამ უწყის, სახელმწიფო განსაცდელშია, ხაზინა გაკოტრებულია, მაგრამ ესპანელი თავის სამშობლოს ასეთს მდგომარეობას აინუშშიაც არ იგდებს. იმის საზრუნავი-მორთვა-მოპრანჭვაა, დროს გატარება და ხარების ჭიდილი“.

—

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.** გუშინ დეპეშამ მეტად საყურადღებო ამბავი მოიტანა პარიჟიდგან: „დღეს პოდპოლკოვნიკი ანრი გამოტყდა, რომ 1896 წლის თარიღით აღნიშნული წერილი ჩემი დაწერილიაო“. ეს ის წერილია, რომელიც ამას წინად სამხედრო მინისტრმა კავენიაკმა პარლამენტში წაიკითხა და ისეთის ზარითა და ზეიმით გამოაცხადა, რომ ამ წერილის შემდეგ საეჭვო აღარავისთვის უნდა იყოს დრეიფუსის დანაშაულობაო. დღეს-კი აღმოჩდა, რომ იგი იმ კაცის დაწერილი-კი არ არის, ვისთვისაც ვითომ დრეიფუსს სახელმწიფოს საიდუმლო ქაღალდები გადაეცეს, არამედ ანრის შეთხზულია. ამ წერილში ნათქვამია: „მე ვიტყვი, რომ დრეიფუსთან არავითარი დამოკიდებულება არა მქონდა. თქვენც ასევე სთქვით. საჭიროა, არასოდეს არავინ შეიტყოს ის, რაც იმას დაემართა“. ამ რიგად პოდპოლკოვნიკი პიკარი, რომელმაც ამ წერილის და ორის სხვა წერილის გამოქვეყნების შემდეგ განაცხადა, რომ ეგ წერილები ყალბია და რომელიც ამ სიტყვების გამო დაპატიმრებულია, მართალი გამოდგა. ეჭვი არ არის, რომ ეს ამბავი დრეიფუსის მომხრეებს უფრო აალაპარაკებს. ამიერიდგან ისინი უფრო დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ დრეიფუსის საქმე ხელ-ახლა იქმნას განხილული და გადათვალიერებული.

—

**ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ.** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამ შემოდგომაზედ გერმანიის იმპერატორი პალესტინაში აპირობს წასვლას. იმპერატორი კონსტანტინეპოლში შეივლის, სადაც სტუმრად ეწვევა ოსმალეთის სულთანს. იმპერატორის დასახვედრად ოსმალეთი უკვე ორი-სამი თვეა რაც ემზადება. სულთანის ბრძანებით, ყველგან სადაც-კი იმპერატორმა უნდა გაიაროს, გზებს ასუფთავებენ, აკეთებენ, ახალ სახლებს აშენებენ. ხაზინამ აუარებელი ფული გადადო ამ საქმისათვის. თვით კონსტანტინეპოლშიაც-კი სახლებს ანგრევენ და ქუჩებს აფართოვებენ. საზოგადოდ, გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის მთავრობა არავითარ ხარჯს არა ჰზოგავს იმ ადგილების მოსაწყობად

და დასამშვენებლად, სადაც იმპერატორმა უნდა გაიაროს, რათა ამ უკანასკნელმა ცუდი აზრი არ შეადგინოს ოსმალეთის შესახებ და არა სთქვას, რომ იგი ველური და მოუწყობელი სახელმწიფოაო.

## დამაკვირდი

მოისმენს მშვიდი განსაცდელთა მადლობით, არ შეირყევის: მოთმინებისა კლდე არს მაგარი, შეუმუსვრელი ქართაგან მომავალთა, მეუდრო და წრფელი, მართალი და უჩავკელი.

იოანე

* * *

დათვლკა მკვდართა ეს არის: თუ ვინმემ საბრალო მკუდარი ნახოს, შეაწიოს რამე, და თუ უპატრონო მკუდარი არის, თავისის ხარჯით დამარხოს.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

მებრალვის იგი, ვინც არის ამაოდ შეყვარებული.

გიორგი ერისთავი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საჭირო არის და სასარგებლო სახალხო თეატრი? რა თქმა უნდა, საჭირო არისო, იტყვიან ბევრნი. ხოლო ზოგიერთნი-კი ამბობენ, არა, სახალხო თეატრი არ არის საჭიროო. ამ აზრისაა, სხვათა შორის, რუსეთის პუბლიცისტი ბ-ნი აბრამოვი, რომელიც ამტკიცებს, რომ ხალხისათვის არც საგანგებო თეატრი არის საჭირო და არც განსაკუთრებით ხალხისათვის დაწერილი პიესები. აი ბ-ნის აბრამოვის სიტყვები: „თეატრი, როგორც სკოლა და ლიტერატურა, ერთი უნდა იყოს,—რაც ცუდია ჩვენთვის თეატრში, ის იმდენადვე ცუდია ხალხისათვის, რაც ჩვენთვის მოსაწყენია, იგივე მოსაწყენია ხალხისათვის, და რაც ჩვენ გვასიამოვნებს იგივე სასიამოვნო იქნებ ხალხისათვის. თეატრი რაღაც „სახალხო“-აკი არა, ხელ-მისა-წვდომი უნდა იყოს, ე. ი. ბილეთები იაფად უნდა იყიდებოდეს.“

ბ-ნი აბრამოვი ამ აზრისა იმიტომ არის, რომ ხალხს კარგად ესმისო ოსტროვსკისა, მოლიერისა, გოგოლისა და თვით შექსპირის პიესები. ყველგან, სადაც ამ ავტორების პიესები წარმოუდგენიათ, ხალხი საკმაოდ დასწრებია და კარგადაც შეუგნია ამ პიესების შინაარსი და დედა-აზრი. ასე იყოვო, სწერს ბ-ნი აბრამოვი,—სარატოვსა, პენზასა, ორიოლსა და პეტერბურგში და ასეც უნდა იყოსო, დასძენს ბ-ნი აბრამოვი.

* * *

შვეიცარია თითქმის ერთად ერთი ქვეყანა არისო, სწერენ გაზეთები, სადაც თეატრი მართლა რომ სახალხოა. მრავალ ქალაქებსა და სოფლებში იმართება ხოლმე წარმოდგენები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ სცენის მოყვარენი. წარმოადგენენ ხოლმე ისტორიულს პიესებს. მაგალითად, შარშან ერონსონის მცხოვრებლებმა გამართეს წარმოდგენა იმ ბრძოლისა, რომელშიაც დამარცხებულ იქმნა მეფე კარლოსი; წელს ნევშატელი ჰმართავს წარმოდგენას სახსოვრად პრუსიისაგან განთავისუფლებისა და რესპუბლიკის დამყარების დღისა. ამ დღისათვის საფრანგეთის მწერალმა ფილიპე გადემ დასწერა დიდი ისტორიული პიესა სათაურით: „შვეიცარიის ნევშატელი“. პიესა წარმოადგინეს 11, 12, 13, 14 და 21 ივლისს დღისით ღია სცენაზედ, რომელიც გამართეს ტბის ნაპირას, მშვენიერსა და გაშლილს ადგილას. პიესაში მონაწილეობას იღებდა 600 არტისტი და 500 მომღერალი. პიესაში თორმეტი მოქმედებაა. ეს პიესა წარმოადგენს ნევშატელის მთელს ისტორიას, მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისიდგან ჩვენს დრომდე.

* * *

ციმბირში, მდინარე ლენაზე, დიდი ხანია რაც არსებობს თეატრი, არტისტის გ. კორსაკოვის მეთაურობით. ამ ანტრეპრენერს აქ ყველანი „წყლის პაპას“ ეძახიან. გაზაფხულობით ბ-ნი კორსაკოვი თავს მოუყრის ხოლმე ციმბირში მოსულ არტისტებს, ყიდულობს დიდს გემს, შიგ გამართავს ხოლმე სცენას და ისე დადის მდინარე ლენაზე. ზაფხულობით ციმბირში მრავალ ქალაქებსა და სოფლებში იარმუკა იმართება. ამ იარმუკობის დროს გაჩნდება ხოლმე იქ კორსაკოვი თავისის დასით და ჰმართავს წარმოდგენებს. ხალხი საკმაოდ დადის. ვაჭრები ხომ არ აკლდებიან თურმე ამ წარმოდგენებს.

* * *

ამერიკის ერთი გაზეთი იუწყება, რომ ერთს ამერიკელ ინჟენერს განზრახვა აქვს ქაღალდისაგან თეატრის შენობა ააგოს. ეს ინჟენერი ამტკიცებს, რომ ქაღალდის სახლი ზამთარში თბილია და ზაფხულში გრილიო. ქაღალდის აგურები გაჟინთული არის მარილითა და სხვა-და-სხვა წამლებით, რის გამოც არც ცეცხლი წაეკიდება, არც ნამი მიეკარება და არც მავნე მიკრობები და ბაცილები.

## სასამართლოს მატიანე

ივანე ონიკაშვილის საქმე.

გუშინ, 21 აგვისტოს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ქ. ტფილისის მცხოვრებლის ივანე ანდრიას ძის ონიკაშვილის (20 წლისა) საქმე, რომელსაც თავისის ნათესავის იაგორ ელაშვილის კამოდის უჯრიდგან ორმოცის თუმნის მოპარვა ჰბრალდებოდა.

გარემოება ამ საქმისა ასეთია: 1897 წლის სექტემბრის თვეში იაგორ ელაშვილის ცოლი და დედა საღამოს 5 საათზედ სადღაცა წასულან მეზობელ ანნა ობჩიევითურთ. ამ დროს იქა ყოფილა ივანე ონიკაშვილი, რომელიც შინაური კაცი იყო, სამის წლიდგან ელაშვილის ოჯახში გაზდილა და კარგადა სცოდნია, რომ კაბოდში ფული ყოფილა. ელაშვილის ცოლს პელაგიას იმის თვალ-წინ დაუკეტია კამოდი და გასაღები ტახტის ხალიჩის ქვეშ ამოუდვია, ხოლო კარის გასაღები კამოდის უჯრაში ჩაუდვია, რომელიც გარეთ დერეფანში მდგარა. ონიკაშვილს უნახავს ყოველივე ეს და გაუცილებია სამივე დედაკაცი—ელაშვილის ცოლი პელაგია, დედა და მეზობელი, შემდეგ თითონაც სადღაც წასულა. მას შემდეგ ანნა ობჩიევისას ყმაწვილი ასტირებია და ჩქარა დაბრუნებულა სახლში. დაბრუნებისას ეზოს კარები მისათვის ივანე ონიკაშვილს გაუღია, რომელიც იქვე ტრიალებდა თურმე საეჭვოდ ელაშვილის სახლის კარებ წინ. ამ დღის შემდეგ ივანე ონიკაშვილს ქეიფი დაუწყია ამხანაგებთან, დიდი ფული უხარჯავს და ერთს მოწმეს, ზეინალ-ალხაზ-ოღლის, უნახავს კიდეც იმისს ჯიბეში სამი ათ თუმნიანი ქაღალდის ფული. ამ ზეინალ-ალხაზ-ოღლის ბრალდებული გამოსტეხია, რომ მე მოვიპარე ელაშვილის ფული, ნუ გამცხელ და შენს წილს არ დაგიკარგავო. თვით ონიკაშვილმა გამომძიებელის წინაშე არ იცნო თავისი თავი დამნაშავედ. ელაშვილს-კი მხოლოდ ხუთის დღის შემდეგ აღმოუჩენია დანაკარგი. კამოდიდგან ქურდს ამოუღია მარტო ორმოცი თუმანი (ოთხი ათ-თუმნიანი), დანარჩენ ვერცხლის ნივთებსათიან-კი, რომელიცა იქავე ყოფილა, ხელი არ უხლია.

ოლქის სასამართლოში დაბარებულნი იყვნენ თვით ბრალდებული ივანე ონიკაშვილი, იაგორ ელაშვილი, პელაგია ელაშვილი, ალექსანდრე ქსენოფონტოვი, რომელთანაც ფულები დაუხარჯავს ონიკაშვილს, ჰუსეინ ალხაზ-ოღლი და პოლიციის მოხელე ალექსი ლიმაროვი. სასამართლოში თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს წევრი ბოლდირიოვი, ბრალსა სდებდა ბრალმდებელის ამხანაგი ა. კ. მოსევიჩი, ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ვ. ი. დრაგნევიჩი, სამოქალაქო მომჩივანის მხრივ ა. მ. ახნაზაროვი. მოწმეებმა თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორეს გამომძიებელის წინაშე თქმული, ჰუსეინის ალხაზ ოღლის მეტმა, რომელმაც მთელი თავისი ჩვენება გადასთქვა და განაცხადა, რომ ონიკაშვილის ჯავრი მჭირდა და ამიტომ უმოწმე იაგორ ელაშვილს გამომძიებლის წინაშე, მე არც სამი ათ თუმნიანი მინახავს, არც გამოტეხილა ჩემს წინაშე ივანე ონიკაშვილი, რომ ვითომ იმას მოეპაროს ელაშვილის ორმოცი თუმანი, და არც ფულის მოცემას დამპირებია გაჩუმებისათვისაო. ყოველივე ეს ტყუილადა ვთქვი გამომძიებლის წინაშეო. ბრალდებულის ამხანაგისა და ვექილთა ლაპარაკის შემდეგ ოლქის სასამართლომ განაჩენი დაადგინა, რომლითაც ივანე ონიკაშვილი გაამართლა და უდანაშაულოდ იცნო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 აგვისტო

**სპასის მონასტერი.** 20 აგვისტოს, 12 საათზედ მოვიდა საიმპერატორო მატარებელი, რომელშიაც ბრძანდებოდენ მათი უდიდებულესობანი, დიდნი მთავრინანი ოლგა და ტატიანა ნიკოლოზის ასულნი დიდნი მთავარნი მიხეილ ალექსანდრეს ასული და ალექსეი ალექსანდრეს ძე. სადგურზედ მათ უდიდებულესობას მიეგებნენ გენერალ-ადიუტანტი დრაგომიროვი, გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და სხვანი. დეპუტაციის მიღების შემდეგ მათი უდიდებულესობანი ეკკლესიაში შევიდნენ, სადაც ყოვლად-სამღვდელო ამბროსი ქვარითა და წმ. წყლით დაჰხვდათ. პარაკლისის შემდეგ მათი უდიდებულესობანი, ნაშუადღევის 1 საათზე ყირიმში წაბრძანდნენ. ხალხმა „ვაშას“ ძახილით გააცილა.

**პარიჟი.** საგენერალო შტაბის უფროსმა ბუადერფმა, ანრის საქმის გამო, თანამდებობას თავი გაანება. შტაბის უფროსად დანიშნულ იქმნა გენერალი რენუარი.

**პარიჟი.** პოლკოვნიკმა ანრიმ მონ-ვალერიენში თავი მოიკლა. ანრიმ ყელი გამოიჭრა.

**პარიჟი.** „Jigaro“ სწერს, რომ მონ-ვალერიენის საპატიმროში ანრის თავის მოკვლის ამბავი გაიგეს საღამოს 9 საათზედაო. ჰფიქრობენ, რომ თავი 5 საათზედ მოიკლაო. ამბობენ, რომ რამდენისამე წუთით ადრე ვიდრე დარაჯი შევიდოდა, ანრიმ სამართებლო ხელი დაავლო, ყელი გამოიჭრა და იქვე უგრძნობელი დაეცაო. როდესაც დარაჯი შევიდა ანრი უკვე გარდაცვალებული იყო.

„Rappel“-ი სწერს, რომ სამ საათზედ მონ-ვალერიენში აფიცერი მივიდა, მთელი საათი ელაპარაკა დაპატიმრებულს და 4 საათზედ წავიდაო. წასვლის დროს დარაჯს უთხრა პოლკოვნიკი მოხსენებასა სწერს და ნუ შეაწუხებთ, იმასთან ნუ შეხვალთო. 5 საათზედ ერთმა დარაჯმა ფანჯარაში შეიხედა და დაინახა, რომ პოლკოვნიკი მიწაზედ გდია გარდაცვალებული. ამბობენ, რომ თავის მოკვლის წინად წერილი მისწერა სამხედრო მინისტრს ბუადერფს და თავის ცოლს. ამ უკანასკნელს ნება მისცეს, რომ ღამე ქმრის გვამთან გაეტარებინა.

შესაძლებელია,—სწერს „Jigaro,“ რომ ახლო მომავალში პარლამენტის საგანგებო კრება მოიწვიონ. იმასაც ამბობენ, რომ კომისია შესდგება საქმის გამოსაძიებლადაო.

**პარიჟი.** გენერალმა რენუარმა იკისრა საგენერალო შტაბის უფროსობა.

„Temps“-ი იმ წერილში, რომელშიაც დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის შესახებ არის ლაპარაკი, სხვათა შორის ამბობს: „კავენიაკმა თავისი საქმე დაასრულა და ეხლა მოსთხოვს სარიენს, რომ გაუქმებულ იქმნას 1894 წლის გარჩევა საქმისა. რაც უფრო ჩქარა დაიწყება იგი ხელ-ახლა მით უმჯობესი იქმნება საზოგადოების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტებით, რომელიც მზად არიან ყველამ მიიღოს და რომელსაც ხვალ მინისტრებსაც მიაღებინებენ“.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი თავადის ასულს ნადია წერეთელს, ქ. მარიამ კლდიაშვილს, ბ-ნთ დავით ავალიანს, ალექსანდრე თაბაგარს, დარისპან და იასონ ლამბაშიძეთ იმ დიადის თანაგრძნობისა და დახმარებისათვის, რომელიც აღმომიჩინეს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მათგან ვიღებ გამხნევებასა და საარსებო საშუალებას. სხვა-და-სხვა დროს მაქვს მიღებული: დ. საჩხერეში შეკრებილი თავადის ასულის ნადია წერეთლის და იასონ ლამბაშიძის მიერ—29 მან., ქ. ქუთაისში შეკრებილი, ქ. მარიამ კლდიაშვილის მიერ—37 მ., ბ-ნ დავით ავალიანის მიერ—7 მ. დ. ზესტაფონში შეკრებილი ბ-ნ ალექსანდრე თაბაგარის მიერ—15 მან. და ბ-ნ დარისპან ლამბაშიძის მიერ—29 მან. სულ 117 მანეთი. ამასთანავე ულრმეს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, რომელთაც თავისი წვლილი მომაწოდეს ზემოდ დასახელებულთა ხელით, მხოლოდ ყველას ვინაობის და უცოდნელობის გამო იმათს სახელსა და გვარს ვერ ვაცხადებ.

ტრიფონ ლამბაშიძე


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები: აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | | 20 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |

**изданіе газеты „Казбекъ“**

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ

ВОЗОБНОВЛЯЕТСЯ СО 2-ГО СЕНТЯБРЯ 1898 г.

**принимается подписка**

на общественную, политическую и литературную газету

**„КАЗБЕКЪ“**

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . 6 рублей.
Съ пересылкою иногороднимъ „ „ „ . . 7 рублей.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ ДВА руб.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. } со строки
На 4-й „ „ 1 „ 10 к. „ „ 5 к. } петита.

**Отдѣльный нумеръ 5 коп.**

Подписываться можно съ перваго числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. »КАЗБЕКЪ“ у издателя С. І. Казарова. (3—უ.—1)

კელერის მიერ დამზადებული

**სურნელოვანი საჭმლის მდოგვი**

დაფხვნილი და დამზადებული, რათა სწრაფად იქმნას მდოგვად შეზავებული, თავისის სიიაფით, გემოვნებით და სურნელოვანებით უკეთესია სხვა ყველა მდოგვზედ.

იყიდება **ყველგან** და **ყველა** დიდ ვაჭართან. Душистая горчица.

(3—მ.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 22 го Августа 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.